



## Tbilisi Open Teaching University

დამტკიცებულია აკადემიური და  
წარმომადგენლობითი სენატის 2018  
წლის 22 იანვრის #77 დადგენილებით

### თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების ორგანიზაცია

#### საჭიროება:

ა) სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დაძლევა;

ბ) სტუდენტთა დაცულობისა და უსაფრთხოების განცდის გაზრდა;

ბ) სტუდენტთა სოციალიზაციისა და კომუნიკაციის პრობლემების გადაჭრა;

მიზანი: ითვალისწინებს რა სტუდენტთა კონკრეტულ საჭიროებებს, უნივერსიტეტი  
ახორციელებს მათი მხარდაჭერის ღონისძიებებს შემდეგი მიმართულებებით:

ა) სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვა (დეკანი, სასწავლო პროცესის მართვის  
მენეჯერი, სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი);

ბ) აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება (დეკანი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი,  
აკადემიური პერსონალი - კონკრეტული პროგრამის განმახორციელებლები);

გ) კონსულტაციები საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში და  
კვლევებში სტუდენტთა მონაწილეობის შესაძლებლობის გაზრდის მიზნით (სკოლა;  
უწყვეტი განათლებისა და კარიერული ზრდის ცენტრი; საერთაშორისო ურთიერთობების  
სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური);

დ) კონსულტაციები დასაქმებისა და კარიერული წინსვლისთვის ( კარიერის ეფექტიანი  
დაგეგმისთვის საჭირო სოციალური და პრაქტიკული უნარების შეძენაში სტუდენტს  
დახმარებას უწევს უწყვეტი განათლებისა და კარიერული ზრდის ცენტრი.)

**საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართული პირები/ სამსახურები და მათი ფუნქციები და მოვალეობები:**

**სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი: :**

ა) ახდენს სტუდენტთა ინფორმირებას სხვადასხვა სახის საკონსულტაციო მომსახურების შესახებ;

ბ) ადგენს პროფესორთა საკონსულტაციო მომსახურების განრიგს კონკრეტული სასწავლო კურსის, საკონსულტაციო დღის, დროის და აუდიტორიის მითითებით; განრიგი განთავსდება სასწავლო პროცესის მართვის ელ. პროგრამაში და წვდომა სტუდენტს აქვს საკუთარი პროფილიდან.

**სკოლა:**

ა) **დეკანი:** სტუდენტს საჭიროებების გათვალისწინებით უდგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას; აძლევს კონსულტაციებს სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვის და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით;

ბ) **სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი:** აკონტროლებს სტუდენტთა აკადემიურ მიღწევებს და კონსულტირებას უწევს მათ აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის პროცესში. ახდენს სტუდენტთა ინფორმირებას სასწავლო პროცესის ორგანიზაციულ საკითხებზე, აკადემიური კალენდრით განსაზღვრული აქტივობების შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა სახის ღონისძიებების შესახებ. დახმარებას უწევს მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტებს სასწავლო პროცესში ეფექტურად ჩართვის მიზნით.

**აკადემიური/ მოწვეული პერსონალი**

აკადემიური/მოწვეული პერსონალი, როგორც სასწავლო კურსის განმახორციელებელი სტუდენტს უწევს საკონსულტაციო მომსახურებას უნივერსიტეტში, კვირაში 1 საათი, სასწავლო კურსის ცალკეული თემის, საკითხის შესწავლის პროცესში წარმოქნილი სირთულეების დაძლევის, რეფერატის, პროექტის თუ სხვა სახის დავალებების შესრულებაში დახმარების მიზნით. საკონსულტაციო დრო განსაზღვრულია პროფესორის დატვირთვაში და მისი ვალდებულება გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში.

კონსულტაცია შეიძლება იყოს წინასწარ დაგეგმილი პროფესორის მიერ ცალკეული თემის სირთულიდან/ საჭიროებებიდან გამომდინარე და ამის შესახებ სტუდენტები იღებენ ინფორმაციას კურსის განმახორციელებლისგან (დაგეგმილი განრიგის შესაბამისად) და იყოს ინდივიდუალური, სტუდენტის მოთხოვნით და მისი საჭიროებების გათვალისწინებით.

ინდივიდუალური კონსულტაცია შესაძლებელია განხორციელდეს ასევე „ონლაინ“ რეჟიმში სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამის მეშვეობით.

კონსულტაცია დასკვნითი გამოცდების საკითხებზე დაგეგმილია და აკადემიური კალენდრის მიხედვით ტარდება მე-17 კვირაში.

**უწყვეტი განათლებისა და კარიერული ზრდის ცენტრი:**

სტუდენტს დახმარებას უწევს დასაქმებისა და კარიერის ეფექტიანი დაგეგმისთვის საჭირო სოციალური და პრაქტიკული უნარების შეძენაში;

სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ; სამუშაო ვაკანსიებისა და სტაჟირების შესაძლებლობების შესახებ.

**საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური:**

რეაგირებს სოციალური ქსელით შემოსულ შეკითხვებზე და კომპეტენციის ფარგლებში უწევს კონსულტაციას სტუდენტებს სხვადასხვა საკითხებზე, აკავშირებს შესაბამის სამსახურებთან და ა.შ.